ტექნიკური რეგლამენტი - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.008.293 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ - დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა ზურაბ კამლაძემ.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 13-ე მუხლის (მუხლი 13. „არქიტექტურული პროექტი“) შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით („მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“) 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა

განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები

შშმ -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტის მიზანია განხორციელდეს ს.კ. 01.72.14.008.293 მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული C და D ბლოკების მშენებლობა. წარმოდგენილ შენობა-ნაგებობებში განლაგდება მიწისქვეშა ავტოფარეხი და საცხოვრებელი ერთეულები.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო ტერიტორიას წარმოადგენს მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.72.14.008.293), რომლის ფართობი 30 000.0 მ^2-ია. მისი მისამართია ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა. ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს საზოგადოებრივი გზა - ლ. ლაშხიას ქუჩა, ნაკვეთის ჩრდილოეთითაც განლაგებულია გზა. დასახელებული მხარეებზეა განთავსებული ნაკვეთზე შესასვლელი. ნაკვეთის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულია რეკრეაციული ზონით დატვირთული ტერიტორია, ნაკვეთის აღმოსავლეთით მიედინება მდინარე მტკვარი.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

- პროექტი აერთიანებს ორ ბლოკს (C და D ბლოკებს). ესაა ორი მართკუთხა შენობა, რომელიც ერთმანეთის მიმართ მართობულადაა განთავსებული.
- საპროექტო შენობა-ნაგებობები შედგება ოთხი მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულისგან. მიწისქვეშა სართული გათვალისწინებულია ავტოფარეხისთვის, ხოლო ყველა მიწისზედა სართულზე განლაგდება საცხოვრებელი ერთეულები.

- ბლოკები მიწისქვეშა სართულის დონეზე ერთმანეთთან დაკავშირებულია სამანქანო პანდუსის საშუალებით.
- თითოეულ ბლოკს ყოველ სართულზე დამოუკიდებელი აუცილებელი გასასვლელი საშუალებები ემსახურება. თითოეული ბლოკის გასასვლელი საშუალებები (გზა-დერეფნები, გზა-კიბეები, გასასვლელები, შენობიდან გამოსასვლელები და სხვა) იზოლირებულია ბლოკის ფარგლებში და მეორე ბლოკთან არ იკვეთება.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითურ კარკასს. საძირკველი მოწყობილია ადგილზე ფორმირებული მონოლითური ლენტური სარტყელით. მონოლითური რკინა-ბეტონის ფილებითაა მოწყობილი ასევე ყველა სართულშორისი გადახურვა. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკი. გადახურვა მოეწყობა მონოლითური რკინა-ბეტონის ფილით (ე.წ. ბრტყელი სახურავი), რომელიც დაიფარება ბიტუმით.

4. ძირითადი ნაწილი

1. **დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:**

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- **სც-2 (310.4)** საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა, საძინებელი ერთეულებით ან ორზე მეტი საცხოვრებელი ერთეულით, სადაც დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივად ცხოვრობენ. ეს დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს. დასახელებული დაკავებულობა განთავსებულია ოთხ მიწისზედა სართულზე. მისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 18,6 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.
- **სწ-2 (311.3)** მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი, რომელიც მოიცავს შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებს. დასახელებული დაკავებულობა განთავსებულია მიწისქვეშა სართულზე. მისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 18,6 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.

2. **კონსტრუქციის ტიპის შეფასება:**

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობები განისაზღვრა **II-B ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. **სიმაღლისა და ფართობის შეფასება**

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სც-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (C ბლოკი):

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	4	4
ფართი	1420 მ^2	587.5 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.28 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სც-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (D ბლოკი):

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	4	4
ფართი	1420 მ^2	505.8 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.28 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სწ-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (C ბლოკი):

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	4	1
ფართი	2420 მ^2	601.5 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.28 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სწ-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (D ბლოკი):

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	1
ფართი	2420 მ^2	530.2 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.28 მ

4. **გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:**

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს **წესების** მოთხოვნებს, კერძოდ:

- პირველ სართულს (0.00 ნიშნულს, როგორც C, ისე D ბლოკში) **წესების** 1021.2 მიხედვით მოეთხოვება მინიმუმ ორი გასასვლელი, რასაც გეგმარება აკმაყოფილებს. თითოეულ ბლოკში გეგმარებით წარმოდგენილია ორი გასასვლელი საშუალება, რომელიც ერთმანეთთან გზა-დერეფნითაა დაკავშირებული. თითოეულ ბლოკში განთავსებულია ორი გასასვლელი გზა-კიბე, რომლებიც სრულდება შენობიდან გამოსასვლელით. პირველ სართულზე C ბლოკის კიბე 1 და D ბლოკის კიბე 2 შენობიდან გამოსასვლელით სრულდება (გეგმარება პროექტირებულია იმგვარად, რომ თითოეული ბლოკის ორივე გასასვლელი გზა-კიბე სრულდებოდეს შენობიდან გამოსასვლელით). **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები. დასახელებული გასასვლელი საშუალებებიდან, გეგმარების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა შენობა-ნაგებობის აუცილებელი გასასვლელი საშუალებაა.

- მიწისქვეშა სართულს (-3.30 ნიშნულს) **წესების** 1021.2 მიხედვით მოეთხოვება მინიმუმ ორი გასასვლელი, რასაც გეგმარება აკმაყოფილებს. დასახელებულ ნიშნულზე როგორც C, ისე D ბლოკს 2 გასასვლელი საშუალება აქვს. C ბლოკის კიბე 2-თან და D ბლოკის კიბე 1-თან განთავსებულია შენობიდან გამოსასვლელები (გეგმარება პროექტირებულია

იმგვარად, რომ თითოეული ბლოკის ორივე გასასვლელი გზა-კიბე სრულდებოდეს შენობიდან გამოსასვლელით). მიუხედავად იმისა, რომ ბლოკები ამ სართულზე ავტომობილის სავალი გზით გაერთიანებულია, თითოეული ბლოკის გასასვლელამდე სავალი სვლა-გეზები ერთმანეთთან არ იკვეთება. **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები (ორივე ბლოკში განლაგებულ უკიდურეს გასასვლელ საშუალებებს შორის მანძილები აღემატება იმავე ბლოკის დიაგონალის ნახევარს). შიგა გასასვლელი გზა-კარების ტამბურები **წესების** 909.20.1 ქვეთავის მიხედვითაა მოწყობილი. ყოველ გზა-კიბესთან განლაგებულია მისაწვდომი ლიფტი, რომელსაც **წესების** 713.14.1 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისი ფოიე აქვს მოწყობილი.

- შენობა-ნაგებობის მომდევნო სართულებს (ნიშნულები: +3.3, +6.6, +9.9) **წესების** 1021.2 მიხედვით მინიმუმ ორი გასასვლელი სჭირდება (როგორც C, ისე D ბლოკში). თითოეულ ბლოკს ემსახურება ორი გასასვლელი გზა-კიბე, რომელთაგანაც ერთ-ერთი 0,00 ნიშნულზე დაკავშირებულია გზა-დერეფანთან, რომელიც ბოლოვდება შენობიდან გამოსასვლელით, ხოლო მეორე -3.30 ნიშნულზე დაკავშირებულია შენობიდან გამოსასვლელთან. **წესების** 1014.3 ცხრილის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი საერთო სავალი ბილიკი არ აღემატება 23მ.-ს. **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები.

- შიდა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია და ყველა გეგმარებითი კომპონენტით აკმაყოფილებს **წესების** 1022 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია გასასვლელიდან ყველაზე მოშორებული წერტილიდან და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. **გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:**

- ნაგებობაში გათვალისწინებული გასასვლელის გზა-კიბეების სიგანეები შეესაბამება **წესებში** მოთხოვნილ პარამეტრებს და აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ნაწილის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილი სახელური სრულიად აკმაყოფილებს **წესების** 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საფეხურის შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე **წესების** 1009.7 ქვეთავის მიხედვითაა დაპროექტებული. გზა-კიბის ბაქნები **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

- გასასვლელი საშუალების ყველა კარი აკმაყოფილებს **წესების** 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- დერეფნების სიგანეები შეესაბამება **წესების** 1005.3.2. და 1018.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ორივე ბლოკის გასასვლელთან მისადგომებში წარმოქმნილი ჩიხური დერეფნების სიგრძეები აკმაყოფილებს **წესების 1018.4** ქვეთავის მოთხოვნებს.

6. **მისაწვდომობის შეფასება:**

- საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ავტოსადგომზე (მიწისქვეშა ავტოფარეხი -3.30 ნიშნულზე) გათვალისწინებულია მისაწვდომი საპარკინგე ადგილები, რომლებიც მოწყობილია **წესების** 1106.1 ქვეთავის შესაბამისად.
- თითოეული ბლოკის ორი შესასვლელიდან (0.00 და -3.30 ნიშნულებზე), ორივე მისაწვდომია **წესების** 1105.1 ქვეთავის შესაბამიად.
- შშმ პირთა მისაწვდომი სვლა-გეზი აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობა-ნაგებობა აღჭურვილია მისაწვდომი ლიფტებით, რომელიც შშმ პირთა სართულებზე გადაადგილებას უზრუნველყოფს. ლიფტის ზომები განსაზღვრულია ICC A117.1 ნორმების მიხედვით და იგი მოსახერხებელია შშმ პირთათვის.
- ყველა დერეფანი და დაკავებული იატაკი მისაწვდომია და აკმაყოფილებს **წესების** 11 თავის მოთხოვნებს.
- თითოეულ ბლოკში გათვალისწიენბულია 1 მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეული **წესების** 1107.6.2.1.3 ქვეთავისა და 1107.6.1.1 ცხრილის შესაბამისად.

7. **გარე კედლებისადმი მოთხოვნები შეფასება:**

- შენობა-ნაგებობის მშენებლობა განხორციელდება რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასითა და ბეტონის სამშენებლო ბლოკით, რაც უზრუნველყოფს ნაგებობის გარე კედლების 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხს. იგი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **წესების** 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

- ფასადების კედლების მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 14 თავის მოთხოვნებს.

8. **სახურავის ანაწყობის შეფასება:**

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **II-B** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე არ საჭიროებს სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხს. საპროექტო ნაგებობის სახურავი წარმოადგენს რკინა-ბეტონის კოჭებზე დაყრდნობილ რკინა-ბეტონის მონოლითურ ფილას, რომელსაც აქვს 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- სახურავის ანაწყობი **წესების** 15 თავის მოთხოვნებს შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

9. **ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამოთვლების შეფასება:**

შენობაში ორი სხვადასხვა დაკავებულობაა. ორივე დაკავებულობა და ცალკეული დაკავებული ერთეულები ერთმანეთისგან გამოყოფილია 2 საათიანი ხანძარმედეგობის ხარისხის სართულშორისი გადახურვის

ფილითა და ბეტონის ბლოკის კედლებით, რაც სრულიად შეესაბამება **წესების** 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

10. **ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება:**

- **წესების** 903.2.8, 903.2.10 ქვეთავების გათვალისწინებით, წარმოდგენილ შენობა-ნაგებობის მხოლოდ მიწისქვეშა -1 სართულია აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი უნდა მოხდეს NFPA 13-ის მიხედვით.
- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეთავის მიხედვით. ყველა დაკავებულობაში და დერეფნებში განაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავისა და NFPA 10-ის მოთხოვნების შესაბამისად.

- წესების 713.14.1 ქვეთავის (გამონაკლისი 1 და 6-ის) მოთხოვნის მიხედვით ლიფტის შახტაში დაყენებულია წესების 909.21 ქვეთავის შესაბამისი დაწნევის სისტემა.

- წესების 907.2.9 ქვეთავის მიხედვით ნაგებობაში დაყენებულია ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა, რომელიც უნდა მოეწყოს NFPA 72-ის მიხედვით.
- **წესების** 907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით შენობა-ნაგებობაში მოწყობილია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები.

11. **წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:**

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

დასკვნა

წარმოდგენილი შეფასებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.008.293 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის (C და D ბლოკების) არქიტექტურული პროექტი სრულიად შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე, ვადასტურებ, რომ არქიტექტურული დოკუმენტაცია შესრულებულია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის აუცილებელ ყველა საჭირო ინფორმაციას. საპროექტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:

ტექნიკური რეგლამენტი - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.008.293 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბერის #732 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ - დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა ზურაბ კამლაძემ.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 13-ე მუხლის (მუხლი 13. „არქიტექტურული პროექტი“) შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით („მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“) 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით.

საექსპერტო შეფასება ეხება შემდეგ კომპონენტებს:

- მისაწვდომი სვლა-გეზი:
  - მისაწვდომი სვლა-გეზის სავალი ზედაპირები;
  - კარები და კარებთან მანევრისთვის აუცილებელი სივრცეები;
  - პანდუსები;
  - ლიფტები.
- ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:
  - მისაწვდომი გზა-კიბეები;
  - ფანჯრები.
- წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:
  - ტუალეტების ოთახები;
  - უნიტაზები;
  - ხელსაბანი ნიჟარები.

- საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:
  - ნიშნები.
- მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:
  - „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები;
  - „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები.

1. მისაწვდომი სვლა-გეზების შეფასება:

- საპროექტო მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობაში მისაწვდომი სვლა-გეზები მოწყობილია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მეოთხე თავის მიხედვით. 402.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად მისაწვდომი სვლა-გეზების შემადგენელი სავალი ზედაპირების დახრა არაუმეტეს 1:20-ია.
- მისაწვდომი სვლა-გეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - 302 ქვეთავის შესაბამისად იატაკის ზედაპირები მყარი, მდგრადი და არასრიალაა;
    - 303 ქვეთავის შესაბამისად იატაკის დონე უცვლელი რჩება;
    - საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო შენობა-ნაგებობამდე მოწყობილი მისაწვდომი სვლა-გეზის დახრა არ აღემატება 1:20-ს;
    - 403.5.1 ქვეთავის მიხედვით მისაწვდომი სვლა-გეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში 900 მმ-ია, ხოლო შენობა-ნაგებობის გარეთ - 1200 მმ;
    - 180^0-ით მოტრიალების შემთხვევაში მისაწვდომ სვლა-გეზზე გათვალისწინებული მანევრისთვის აუცილებელი სივრცე აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - 90^0-ით მოტრიალების შემთხვევაში მისაწვდომ სვლა-გეზზე გათვალისწინებული მანევრისთვის აუცილებელი სივრცე აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - მისაწვდომ სვლა-გეზებზე არსებული გვერდასავლელი სივრცეები 403.5.4.1 ქვეთავის შესაბამისადაა მოწყობილი.
- მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენლობაში შემავალი გზა-კარები და კარები მოწყობილია 404 ქვეთავის შესაბამისად:
    - 404.2.2 ქვეთავის მიხედვით მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენლობაში შემავალი ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არანაკლებ 820 მმ-ია;
    - მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენლობაში შემავალი ყველა გზა-კართან უზრუნველყოფილი მანევრისთვის აუცილებელი თავისუფალი სივრცე და ამ სივრცეში მოწყობილი იატაკის ზედაპირის მახასიათებლები აკმაყოფილებს 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს. 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად გათვალისწინებულია მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენელ ყველა კართან მანევრისთვის აუცილებელი თავისუფალი სივრცე, ხოლო თავისუფალი სივრცის ზედაპირის დახრა არ აღემატება 1:48-ს და იატაკის ზედაპირი აკმაყოფილებს 302 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - 404.2.4 ქვეთავის შესაბამისად გზა-კარების ზღურბლის სიმაღლე 13 მმ.-ს არ აღემატება, ხოლო კარებთან იატაკის დონეები უცვლელი რჩება;

- 404.2.6.1 ქვეთავის შესაბამისად კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ. და არაუმეტეს 1200 მმ. სიმაღლეზე;
- 404.2.9 ქვეთავის შესაბამისად კარებს მიწოლის მხარეს იატაკიდან 250 მმ.-ის სიმაღლის ფარგლებში გლუვი ზედაპირი გააჩნია. კარების კავეულები და სხვა შემაფერხებელი ელემენტები იატაკიდან 250 მმ. სიმაღლის ფარგლებში მოწყობილი არაა;

- საპროექტო შენობა-ნაგებობებში მოწყობილი ლიფტები შეესაბამება 407 ქვეთავის მოთხოვნებს. ლიფტები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს (შენიშვნა: 407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა დაკმაყოფილდეს ლიფტის შერჩევის ეტაპზე. შერჩეული ლიფტის გაბარიტები, პარამეტრები და სპეციფიკაციები სრულად უნდა აკმაყოფილებდეს 407 ქვეთავის მოთხოვნებს);

2. ადგილისა და შენობის ელემენტების შეფასება:

- მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენლობაში შედის საპროექტო შენობა-ნაგებობების გასასვლელი გზა-კიბეები, რომლებიც აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მეხუთე თავის მოთხოვნებს:
  - კიბეების საფეხურების შემაღლებები თანასწორი სიმაღლისაა და შეადგენს 150 მმ.ს. კიბეების საფეხურების საბიჯელები თანასწორი სიღრმისაა და შეადგენს 300 მმ.ს, რაც აკმაყოფილებს 502.4 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - 504.3 ქვეთავის მოთხოვნის გათვალისწინებით კიბის მარშის საზღვრებში არაა მოწყობილი ღია შუბლები;
  - 302 ქვეთავის შესაბამისად საფეხურის საბიჯელების დახრა არ აღემატება 1:48-ს;
  - კიბეებში სახელურები მოწყობილია 505 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
  - გასასვლელი გზა-კიბეების ყველა კართან განთავსებულია ნიშანი გამოკვეთილი სიმბოლოებითა და ბრაელის შრიფტით წარწერით „გასასვლელი / EXIT”. ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გამოსასვლელ კართან. დასახელებული ნიშანი 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
  - შიგა გასასვლელ გზა-კიბეებზე თითოეული სართულის ბაქანზე, დერეფანში გამავალ კართან განთავსებულია სართულის ამოსაცნობად განკუთვნილი ნიშანი. ნიშანზე მითითებულია სართული ამობურცულოი სიმბოლოებითა და ინფორმაცია დუბლირებულია ბრაელის შრიფტით, რაც აკმაყოფილებს 703.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს. ბრაელის შრიფტი 703.4. ქვეთავის

მოთხოვნებს შეესაბამება. ნიშანი განთავსებულია საკეტის მხარეს. 703.3.11 ქვეთავის შესაბამისად, ნიშანი ისეა განთავსებული, რომ კარის 45^0-ით გაღებისას ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე.

3. წყალსადენები ელემენტებისა და მოწყობილობების შეფასება:

- საპროექტო შენობა-ნაგებობაში მოწყობილი ტუალეტები აკმაყოფილებს 603 ქვეთავის მოთხოვნებს:
  - 603.2.1 ქვეთავის შესაბამისად მისაწვდომ ტუალეტებში უზრუნველყოფილია T ფორმის მოტრიალებისთვის აუცილებელი სივრცე;
  - 603.2.2 ქვეტავის შესაბამისად მისაწვდომ ტუალეტებში კარის გაღებისას ის არ იჭრება მოწყობილობებისთვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში.
- მისაწვდომ ტუალეტებში განთავსებული უნიტაზები აკმაყოფილებს 604 ქვეთავის მოთხოვნებს:
  - უნიტაზი განთავსებულია კედელთან, უნიტაზის სიმეტრიის ღერძიდან კედლამდე დაშორება შეადგენს 450 მმ.-ს, რაც აკმაყოფილებს 604.2 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - 604.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად უნიტაზთან უზრუნველყოფილია თავისუფალი იატაკის სივრცე ფართობით 1400X1500 მმ;
  - უნიტაზის ხელჩასაჭიდი ძელები მოწყობილია 604.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
  - უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მისაწვდომ ტუალეტებში განთავსებული ხელსაბანები აკმაყოფილებს 606 ქვეთავის მოთხოვნებს:
  - 606.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად ხელსაბანებთან უზრუნველყოფილია იატაკის თავისუფალი სივრცეები;
  - ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შეესაბამება 606.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

4. საკომუნიკაციო ელემენტებისა და ფუნქციების შეფასება:

- საპროექტო შენობა-ნაგებობებში გათვალისწინებული მისაწვდომობის ნიშნები, მათი მოწყობა და ადგილმდებარეობა აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მეშვიდე თავის მოთხოვნებს:
  - მისაწვდომ სვლა-გეზსა და გასავლელ საშუალებებში მოწყობილი გასავლელის ნიშანი წარწერით „გასასვლელი / EXIT” აღნიშნული

ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის შრიფტით აკმაყოფილებს 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს;
    - კიბეების ბაქნებზე განთავსებული სართულის ამოსაცნობი ნიშნები აკმაყოფილებს 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს;
    - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი ღია და დახურულ საპარკინგე ერთეულებზე. ნიშანი აკმაყოფილებს 703.6.3 და 703.2 ქვეთავის მოტხოვნებს.
- მისაწვდომ სვლა-გეზზე განთავსებულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები აკმაყოფილებს 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვს. სიმბოლოები არაა მოცებული არატრადიციული, ზედმეტად დეკორატიული, რთულად კითხვადი ფორმით;
    - სიმბოლოების ზომა, სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება აკმაყოფილებს 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს;
    - სიმბოლოების განთავსების სიმაღლე იატაკიდან აკმაყოფილებს 703.2.4 ცხრილს;
    - სიმბოლოების და მათი ფონის ზედაპირები კაშკაშა არაა. სიმბოლოები და ფონი კონტრასტულია ერთმანეთთან მიმართებაში (სიმბოლო მუქი ფერისაა, ხოლო ფონი - ღია), რაც აკმაყოფილებს 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მისაწვდომ სვლა-გეზზე განთავსებულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები აკმაყოფილებს 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - ამობურცული სიმბოლო ამობურცულია ზედაპირიდან 703.3.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
    - ლათინური სიმბოლოები დაწერილია დიდი ასობგერებით, რაც აკმაყოფილებს 703.3.3 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - 703.3.4 ქვეთავის მოთცოვნის შესაბამისად ლათინური სიმბოლოები შესრულებულია „SANS SERIF” შრიფტით. სიმბოლოები არაა გამოსახული დახრილად, ხელნაწერის სახით, ზედმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით;
    - სიმბოლოების სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება აკმაყოფილებს 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების მოთხოვნებს;
    - სიმბოლოების განთავსების სიმაღლე იატაკის დონიდან აკმაყოფილებს 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შრიფტის შემცველი ნიშნების განთავსება აკმაყოფილებს 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - 703.3.12 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად ამობურცული სიმბოლოები გამოირჩევა მისი ფონისგან.

- მისაწვდომ სვლა-გეზზე განთავსებულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილის შრიფტი აკმაყოფილებს 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - 703.4.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად ნიშნებზე გამოყენებულია მეორე ხარისხის ბრაილის შრიფტი;
    - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათის ფორმა, იგი აკმაყოფილებს 703.4.3 ცხრილის მოთხოვნებს;
    - ბრაილი განთავსებულია 703.4.4 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
    - ბრაილის განთავსების სიმაღლე იატაკიდან აკმაყოფილებს 703.4.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

- მისაწვდომ სვლა-გეზზე განთავსებულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლოები აკმაყოფილებს 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - 703.6.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევიან ფონისგან;
    - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს;
    - მისაწვსდომობის ნიშნები და მათი ფონები არაა ამრეკლავი.

5. მისაწვდომი საცხოვრებელი (საძინებელი) ერთეულების შეფასება:

- „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა განსაზღვრულია „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ მიხედვით და თითოეული საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის შეადგენს ერთ ცალს. საპროექტო „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები აკმაყოფილებენ „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მეთერთმეტე თავის მოთხოვნებს.
    - 1103.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი;
    - 1103.3.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის ყველა სივრცეს აკავშირებს მინიმუმ ერთი მისაწვდომი სვლა-გეზი, რომელიც ემთხვევა ძირითადი მიმოსვლის ბილიკს;
    - 1103.3.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლა-გეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებლად აუცილებელი თავისუფალი სივრცე;
    - 1103.3.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად მისაწვდომი სვლა-გეზების ზედაპირების დახრა არ აღემატება 1:20 -ს;
    - მისაწვდომი სვლა-გეზის სავალი ზედაპირები აკმაყოფილებს 403 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის შესასვლელი და ყველა სხვა კარი აკმაყოფილებს 404 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - ზღურბლები მოწყობილია 303 ქვეთავის შესაბამისად;

- სარეცხი მანქანა აკმაყოფილებს 611 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ერთეულებში მოწყობილია ტუალეტი, რომელიც აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს:
- ხელჩასაჭიდი ძელების მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია;
- მისაწვდომი მოწყობილობები ერთი სააბაზანოს ფარგლებშია განთავსებული;
- გაღებისას კარი არ იჭრება მოწყობილობებთან აუცილებელი იატაკის თავისუფალ სივრცეში;
- ხელსაბანები აკმაყოფილებს 606-ე ქვეთავის მოთხოვნებს;
- უნიტაზები აკმაყოფილებს 1103.11.2.4 ქვეთავის მოთხოვნებს;
- აბაზანები აკმაყოფილებს 607-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები:
  - 1104.2 ქვეთავის შესაბამისად „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულებში შესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი;
  - 1104.3.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის ყველა სივრცეს აკავშირებს მინიმუმ ერთი მისაწვდომი სვლა-გეზი, რომელიც ემთხვევა ძირითადი მიმოსვლის ბილიკს;
  - 1103.3.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად მისაწვდომი სვლა-გეზების ზედაპირების დახრა არ აღემატება 1:20 -ს;
  - მისაწვდომი სვლა-გეზის თავისუფალი სიგანე აკმაყოფილებს 403.5 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის შესასვლელი კარი აკმაყოფილებს 404 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის ყველა კარის თავისუფალი სიგანე არანაკლებ 820 მმ.-ია და 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას აკმაყოფილებს;
  - ზღურბლები მოწყობილია 303 ქვეთავის შესაბამისად;
  - სარეცხ მანქანასთან გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცე 1104.10.1 ქვეთავის შესაბამისად;
  - აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - კარი არ იჭრება მოწყობილობებთან აუცილებელი იატაკის თავისუფალ სივრცეში;
  - ხელსაბანები აკმაყოფილებს 1104.11.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - უნიტაზები აკმაყოფილებს 1104.11.3.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - აბაზანები აკმაყოფილებს 1104.11.3.1.3.1 და 1104.11.3.1.3.2-ე ქვეთავების მოთხოვნებს;
  - სამზარეულოები აკმაყოფილებს 1104.12 ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა

წარმოდგენილი შეფასებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.008.293 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის (C და D ბლოკების) არქიტექტურული პროექტი სრულიად შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს - „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“. ასევე, ვადასტურებ, რომ არქიტექტურული დოკუმენტაცია შესრულებულია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის აუცილებელ ყველა საჭირო ინფორმაციას. საპროექტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:

	**მისამართი:** ქ. თბილისი. ვარკეთილი ხომლელის მე-7კ.	**Tel:** +995 599 85 55 22 **Email:** nodari1086@gmail.com

	CURRICULUM VITAE
სახელი	ნოდარი
გვარი	ნიგურიანი
დაბადების თარიღი	*18/10/1986*
განათლება პროფესია	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო, 09.2004 - 08.2008 არქიტექტურის ფაკულტეტი, არქიტექტორი ბაკალავრი
პროფესიული გამოცდილება	-2010-2011წწ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია პოზიცია: სპეციალისტი არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებში -2011-2012წწ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია პოზიცია: სამსახურის უფროსი არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი -2012-2015წწ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია პოზიცია: განყოფილების უფროსი არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ურბანული დაგეგმარების განყოფილების უფროსი
	-2015-2017წწ შპს; „არქ არეა": პოზიცია: მთავარი არქიტექტორი პროექტები: • ქ. თბილისი. საცხოვრებელი კორპუსი შანდორ პეტეფის ქუჩაზე, ვაზისუბანი. • ქ. თბილისი. საცხოვრებელი კორპუსი კორპუსი 1ბ-ს მიმდებარედ, ვაშლიჯვარი. • ქ. ქუთაისი. თამარ მეფის ქ. 28. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და სასტუმრო.

	-2017-იდან დღემდე **შპს; „დეკოლაინი“:** პოზიცია: არქიტექტორი, შენებლობლობის ზედამხედველი
ენები	*1.* ქართული ——— *მშობლიური* *2.* ინგლისური——— *საშუალო* *3.* რუსული ——— *საშუალო*
კომპიუტერული პროგრამები	ArchiCad (სრულყოფილად); AutoCad (კარგი); 3D max (არა), AdobePhotoshop (საშუალო); Microsoft Oficce (კარგი);



IDENTITY CARD

GEO

საქართველო

სახელი / FIRST NAME
ნოდარი
NODARI
გვარი / LAST NAME
ნიგურიანი
NIGURIANI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
30001006301
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
18.10.1986
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
12.02.2026
ხელმოწერა
SIGNATURE

ბარათის No / CARD No
15IA25753



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
მესტია
MESTIA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
12.02.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2015
სმს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE015IA25753830001006301<<<<
8610186M2602121GE0<<<<<<<<<<<4
[illegible]URIANI<<NODARI<<<<<<<<<<<<<

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობა
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

№1914

22/11/2018წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ნოდარ ნიგურიანს (პ/ნ 30001006301, დაბ. 18.10.1986წ) მასზედ, რომ ის 2010 წლის 1 სექტემბრიდან (ბრძანება N140) 2016 წლის 29 იანვრამდე (ბრძანება N44/1) მუშაობდა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ჯერ არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებში სპეციალისტად და შემდეგ ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურში, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსად.

ცნობა გაიცა საჭიროებისამებრ ადგილზე წარსადგენად.

პატივისცემით,

კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

ინდ: 3200.დ. მესტია
სუტის მოედანი N–1
ვებგვერდი: www.mestia.ge

ტელ: +995 591 05 92 38
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@yahoo.com

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის

სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000504

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2008 წლის 08.27 გადაწყვეტილებით,

ნოდარ ნიგურიანს, დაბადებულს

1986 წლის 10.18, მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია

და არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

გაცემის თარიღი 20 წ.

ქ. თბილისი

სარეგისტრაციო № 000504

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000504

This is to certify that by the decision of 2008.08.27

of the Architecture

faculty

of the **A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART**

Mr./Ms. Nodar Niguriani

born on 1986.10.18 was awarded Bachelor's Academic Degree

with a Major in Architecture

Seal

Dean of the Faculty

Rector

ISSUED ON

City TBILISI

REGISTRATION No. 000504

ტექნიკური რეგლამენტი - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.008.293 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ - დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა ზურაბ კამლაძემ.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 13-ე მუხლის (მუხლი 13. „არქიტექტურული პროექტი“) შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით („მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“) 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა

განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები

შშმ -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტის მიზანია განხორციელდეს ს.კ. 01.72.14.008.293 მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული E, E` და E`` ბლოკების მშენებლობა. წარმოდგენილ შენობა-ნაგებობებში განლაგდება მიწისქვეშა ავტოფარეხი, კომერციული ფართები და საცხოვრებელი ერთეულები.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო ტერიტორიას წარმოადგენს მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.72.14.008.293), რომლის ფართობი 30 000.0 მ^2-ია. მისი მისამართია ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა. ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს საზოგადოებრივი გზა - ლ. ლაშხიას ქუჩა, ნაკვეთის ჩრდილოეთითაც განლაგებულია გზა. დასახელებული მხარეებზეა განთავსებული ნაკვეთზე შესასვლელი. ნაკვეთის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულია რეკრეაციული ზონით დატვირთული ტერიტორია, ნაკვეთის აღმოსავლეთით მიედინება მდინარე მტკვარი.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

- პროექტი აერთიანებს სამ ბლოკს (E, E` და E`` ბლოკებს). E და E`` ბლოკებს ხუთკეთხა ფორმა აქვთ და გენერალურ გეგმაზე C და D ბლოკებს ემიჯნებიან, ხოლო E` ბლოკს მართკუთხა ფომა აქვს და ზემოდასახელებულ ბლოკებს შორისაა განთავსენული.
- ყოველი საპროექტო შენობა-ნაგებობა შედგება ოთხი მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულისგან. მიწისქვეშა სართული გათვალისწინებულია ავტოფარეხისთვის, პირველი მიწისზედა

სართული ეთმობა სავაჭრო დაკავებულობას, ხოლო მომდევნო სართულებზე განლაგდება საცხოვრებელი ერთეულები.

- ბლოკები მიწისქვეშა სართულის დონეზე ერთმანეთთან დაკავშირებულია სამანქანო პანდუსისა და სამანქანო გზის საშუალებით.
- თითოეულ ბლოკს ყოველ სართულზე დამოუკიდებელი აუცილებელი გასასვლელი საშუალებები ემსახურება. თითოეული ბლოკის გასასვლელი საშუალებები (გზა-დერეფნები, გზა-კიბეები, გასასვლელები, შენობიდან გამოსასვლელები და სხვა) იზოლირებულია ბლოკის ფარგლებში და მეორე ბლოკთან არ იკვეთება.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითურ კარკასს. საძირკველი მოწყობილია ადგილზე ფორმირებული მონოლითური ლენტური სარტყელით. მონოლითური რკინა-ბეტონის ფილებითაა მოწყობილი ასევე ყველა სართულშორისი გადახურვა. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკი. გადახურვა მოეწყობა მონოლითური რკინა-ბეტონის ფილით (ე.წ. ბრტყელი სახურავი), რომელიც დაიფარება ბიტუმით.

4. ძირითადი ნაწილი

1. **დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:**

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- **სც-2 (310.4)** საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა, საძინებელი ერთეულებით ან ორზე მეტი საცხოვრებელი ერთეულით, სადაც დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივად ცხოვრობენ. ეს დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს. დასახელებული დაკავებულობა განთავსებულია ოთხ მიწისზედა სართულზე. მისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 18,6 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.
- **სვ** (309.1) სავაჭრო ჯგუფი, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობებს ან მათ ნაწილებს, რომელიც გამოიყენება როგორც საცალო მაღაზიები. დასახელებული დაკავებულობა განლაგებულია პირველ სართულზე.

პროექტში მითითებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 2.8 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.

- **სწ-2 (311.3)** მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი, რომელიც მოიცავს შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებს. დასახელებული დაკავებულობა განთავსებულია მიწისქვეშა სართულზე. მისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 18,6 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.

2. **კონსტრუქციის ტიპის შეფასება:**

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობები განისაზღვრა **II-B ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. **სიმაღლისა და ფართობის შეფასება**

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სც-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E ბლოკი):

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	4	4
ფართი	1490 მ^2	928.5 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სც-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E` ბლოკი):

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	4	4
ფართი	1490 მ^2	951.9 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სც-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E`` ბლოკი):

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	4
ფართი	1490 მ^2	943.2 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სვ** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E ბლოკი):

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	1
ფართი	1160 მ^2	260.2 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სვ** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E` ბლოკი):

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	1
ფართი	1160 მ^2	238.4 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სვ** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E`` ბლოკი):

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	1
ფართი	1160 მ^2	264.8 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სწ-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E ბლოკი):

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	1
ფართი	2420 მ^2	1607.3 მ^2

სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სწ-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E` ბლოკი):

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	4	1
ფართი	2420 მ^2	1607.3 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით **სწ-2** დაკავებულობისთვის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე (E`` ბლოკი):

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	4	1
ფართი	2420 მ^2	1607.3 მ^2
სიმაღლე	16.80 მ	15.48 მ

4. **გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:**

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს **წესების** მოთხოვნებს, კერძოდ:

- პირველ სართულს (0.00 ნიშნულს, როგორც E , ისე E` და E`` ბლოკში) **წესების** 1021.2 მიხედვით მოეთხოვება მინიმუმ ორი გასასვლელი საშუალება, რასაც გეგმარება აკმაყოფილებს. თითოეულ ბლოკში გეგმარებით წარმოდგენილია ორი გასასვლელი საშუალება: ერთი გასასვლელი საშუალება ემსახურება საცხოვრებელ ერთეულებს, რომლებიც განლაგებულია მეორედან მეოთხე სართულების ჩათვლით, ხოლო დანარჩენი გასასვლელი საშუალებები გათვალისწინებულია სავაჭრო დაკავებულობისთვის (დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით სავაჭრო ფართებს ერთი ან ორი გასასვლელი საშუალება ემსახურება). თითოეულ

ბლოკში განთავსებულია ერთი გასასვლელი გზა-კიბე, რომლებიც სრულდება შენობიდან გამოსასვლელით. **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები. დასახელებული გასასვლელი საშუალებებიდან, გეგმარების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა შენობა-ნაგებობის აუცილებელი გასასვლელი საშუალებაა.

- მიწისქვეშა სართულს (-3.20 ნიშნულს) **წესების** 1021.2 მიხედვით მოეთხოვება მინიმუმ ორი გასასვლელი, რასაც გეგმარება აკმაყოფილებს. დასახელებულ ნიშნულზე E, E` და E`` ბლოკები ერთიანდება სამანქანო გზით და ჯამში 3 გასასვლელი (3 გასასვლელის გზა-კიბე) საშუალება აქვს. სამივე გასასვლელი გზა-კიბე სრულდება შენობიდან გამოსასვლელით. **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები (საერთო იატაკზე განლაგებულ უკიდურეს გასასვლელ საშუალებებს შორის მანძილები აღემატება იმავე ბლოკის დიაგონალის ნახევარს). შიგა გასასვლელი გზა-კარების ტამბურები **წესების** 909.20.1 ქვეთავის მიხედვითაა მოწყობილი. ყოველ გზა-კიბესთან განლაგებულია მისაწვდომი ლიფტი, რომელსაც **წესების** 713.14.1 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისი ფოიე აქვს მოწყობილი.

- შენობა-ნაგებობის მომდევნო სართულებს (ნიშნულები: +3.3, +6.6, +9.9) **წესების** 1021.2 მიხედვით მხოლოდ ერთი გასასვლელი სჭირდება (როგორც E, ისე E` და E`` ბლოკში). თითოეულ ბლოკს ემსახურება ერთი გასასვლელი გზა-კიბე, რომელიც 0,00 ნიშნულზე დაკავშირებულია გზა-დერეფანთან და რომელიც ბოლოვდება შენობიდან გამოსასვლელით. **წესების** 1014.3 ცხრილის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი საერთო სავალი ბილიკი არ აღემატება 23მ.-ს.

- შიდა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია და ყველა გეგმარებითი კომპონენტით აკმაყოფილებს **წესების** 1022 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია გასასვლელიდან ყველაზე მოშორებული წერტილიდან და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. **გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:**

- ნაგებობაში გათვალისწინებული გასასვლელის გზა-კიბეების სიგანეები შეესაბამება **წესებში** მოთხოვნილ პარამეტრებს და აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ნაწილის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილი სახელური სრულიად აკმაყოფილებს **წესების** 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საფეხურის შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე **წესების** 1009.7 ქვეთავის მიხედვითაა დაპროექტებული. გზა-კიბის ბაქნები **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

- გასასვლელი საშუალების ყველა კარი აკმაყოფილებს **წესების** 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- დერეფნების სიგანეები შეესაბამება **წესების** 1005.3.2. და 1018.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ორივე ბლოკის გასასვლელთან მისადგომებში წარმოქმნილი ჩიხური დერეფნების სიგრძეები აკმაყოფილებს **წესების 1018.4** ქვეთავის მოთხოვნებს.

6. **მისაწვდომობის შეფასება:**

- საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ავტოსადგომზე (მიწისქვეშა ავტოფარეხი -3.20 ნიშნულზე) გათვალისწინებულია მისაწვდომი საპარკინგე ადგილები, რომლებიც მოწყობილია **წესების** 1106.1 ქვეთავის შესაბამისად.
- თითოეული ბლოკის ყველა შესასვლელიდან (0.00 ნიშნულებზე, როგორც საცხოვრებელში შესასვლელი, ისე სავაჭრო ფართების შესასვლელები), მისაწვდომია **წესების** 1105.1 ქვეთავის შესაბამად.
- შშმ პირთა მისაწვდომი სვლა-გეზი აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სამივე შენობა-ნაგებობა აღჭურვილია მისაწვდომი ლიფტებით, რომელიც შშმ პირთა სართულებზე გადაადგილებას უზრუნველყოფს. ლიფტის

ზომები განსაზღვრულია ICC A117.1 ნორმების მიხედვით და იგი მოსახერხებელია შშმ პირთათვის.

- ყველა დერეფანი და დაკავებული იატაკი მისაწვდომია და აკმაყოფილებს **წესების** 11 თავის მოთხოვნებს.
- თითოეულ ბლოკში გათვალისწიენბულია 1 მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეული **წესების** 1107.6.2.1.3 ქვეთავისა და 1107.6.1.1 ცხრილის შესაბამისად.

7. **გარე კედლებისადმი მოთხოვნები შეფასება:**

- შენობა-ნაგებობის მშენებლობა განხორციელდება რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასითა და ბეტონის სამშენებლო ბლოკით, რაც უზრუნველყოფს ნაგებობის გარე კედლების 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხს. იგი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **წესების** 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

- ფასადების კედლების მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 14 თავის მოთხოვნებს.

8. **სახურავის ანაწყობის შეფასება:**

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **II-B** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე არ საჭიროებს სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხს. საპროექტო ნაგებობის სახურავი წარმოადგენს რკინა-ბეტონის კოჭებზე დაყრდნობილ რკინა-ბეტონის მონოლითურ ფილას, რომელსაც აქვს 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- სახურავის ანაწყობი **წესების** 15 თავის მოთხოვნებს შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

9. **ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:**

შენობაში სამი სხვადასხვა დაკავებულობაა. სამივე დაკავებულობა და ცალკეული დაკავებული ერთეულები ერთმანეთისგან გამოყოფილია 2 საათიანი ხანძარმედეგობის ხარისხის სართულშორისი გადახურვის ფილითა და ბეტონის ბლოკის კედლებით, რაც სრულიად შეესაბამება **წესების** 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

10. **ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება:**

- **წესების** 903.2.8, 903.2.10 ქვეთავების გათვალისწინებით, წარმოდგენილი ბლოკების მხოლოდ მიწისქვეშა -1 სართულია აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი უნდა მოხდეს NFPA 13-ის მიხედვით.
- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეთავის მიხედვით. ყველა დაკავებულობაში და დერეფნებში განაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავისა და NFPA 10-ის მოთხოვნების შესაბამისად.
- წესების 713.14.1 ქვეთავის (გამონაკლისი 1 და 6-ის) მოთხოვნის მიხედვით ლიფტის შახტაში დაყენებულია წესების 909.21 ქვეთავის შესაბამისი დაწნევის სისტემა.
- წესების 907.2.9 ქვეთავის მიხედვით ნაგებობაში დაყენებულია ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა, რომელიც უნდა მოეწყოს NFPA 72-ის მიხედვით.
- **წესების** 907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით შენობა-ნაგებობაში მოწყობილია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები.

11. **წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:**

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

დასკვნა

წარმოდგენილი შეფასებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.008.293 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის (E, E` და E`` ბლოკების) არქიტექტურული პროექტი სრულიად შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე, ვადასტურებ, რომ არქიტექტურული დოკუმენტაცია შესრულებულია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის აუცილებელ ყველა საჭირო ინფორმაციას. საპროექტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:

ტექნიკური რეგლამენტი - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.008.293 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბერის #732 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ - დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა ზურაბ კამლაძემ.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 13-ე მუხლის (მუხლი 13. „არქიტექტურული პროექტი“) შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით („მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“) 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით.

საექსპერტო შეფასება ეხება შემდეგ კომპონენტებს:

- მისაწვდომი სვლა-გეზი:
  - მისაწვდომი სვლა-გეზის სავალი ზედაპირები;
  - კარები და კარებთან მანევრისთვის აუცილებელი სივრცეები;
  - პანდუსები;
  - ლიფტები.
- ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:
  - მისაწვდომი გზა-კიბეები;
  - ფანჯრები.
- წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:
  - ტუალეტების ოთახები;
  - უნიტაზები;
  - ხელსაბანი ნიჟარები.

- საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:
  - ნიშნები.
- მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:
  - „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები;
  - „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები.

1. მისაწვდომი სვლა-გეზების შეფასება:

- საპროექტო მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობაში მისაწვდომი სვლა-გეზები მოწყობილია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მეოთხე თავის მიხედვით. 402.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად მისაწვდომი სვლა-გეზების შემადგენელი სავალი ზედაპირების დახრა არაუმეტეს 1:20-ია.
- მისაწვდომი სვლა-გეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - 302 ქვეთავის შესაბამისად იატაკის ზედაპირები მყარი, მდგრადი და არასრიალაა;
    - 303 ქვეთავის შესაბამისად იატაკის დონე უცვლელი რჩება;
    - საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო შენობა-ნაგებობამდე მოწყობილი მისაწვდომი სვლა-გეზის დახრა არ აღემატება 1:20-ს;
    - 403.5.1 ქვეთავის მიხედვით მისაწვდომი სვლა-გეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში 900 მმ-ია, ხოლო შენობა-ნაგებობის გარეთ - 1200 მმ;
    - 180^0-ით მოტრიალების შემთხვევაში მისაწვდომ სვლა-გეზზე გათვალისწინებული მანევრისთვის აუცილებელი სივრცე აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - 90^0-ით მოტრიალების შემთხვევაში მისაწვდომ სვლა-გეზზე გათვალისწინებული მანევრისთვის აუცილებელი სივრცე აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - მისაწვდომ სვლა-გეზებზე არსებული გვერდასავლელი სივრცეები 403.5.4.1 ქვეთავის შესაბამისადაა მოწყობილი.
- მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენლობაში შემავალი გზა-კარები და კარები მოწყობილია 404 ქვეთავის შესაბამისად:
    - 404.2.2 ქვეთავის მიხედვით მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენლობაში შემავალი ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არანაკლებ 820 მმ-ია;
    - მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენლობაში შემავალი ყველა გზა-კართან უზრუნველყოფილი მანევრისთვის აუცილებელი თავისუფალი სივრცე და ამ სივრცეში მოწყობილი იატაკის ზედაპირის მახასიათებლები აკმაყოფილებს 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს. 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად გათვალისწინებულია მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენელ ყველა კართან მანევრისთვის აუცილებელი თავისუფალი სივრცე, ხოლო თავისუფალი სივრცის ზედაპირის დახრა არ აღემატება 1:48-ს და იატაკის ზედაპირი აკმაყოფილებს 302 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - 404.2.4 ქვეთავის შესაბამისად გზა-კარების ზღურბლის სიმაღლე 13 მმ.-ს არ აღემატება, ხოლო კარებთან იატაკის დონეები უცვლელი რჩება;

- 404.2.6.1 ქვეთავის შესაბამისად კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ. და არაუმეტეს 1200 მმ. სიმაღლეზე;
- 404.2.9 ქვეთავის შესაბამისად კარებს მიწოლის მხარეს იატაკიდან 250 მმ.-ის სიმაღლის ფარგლებში გლუვი ზედაპირი გააჩნია. კარების კავეულები და სხვა შემაფერხებელი ელემენტები იატაკიდან 250 მმ. სიმაღლის ფარგლებში მოწყობილი არაა;

- საპროექტო შენობა-ნაგებობებში მოწყობილი ლიფტები შეესაბამება 407 ქვეთავის მოთხოვნებს. ლიფტები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს (შენიშვნა: 407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა დაკმაყოფილდეს ლიფტის შერჩევის ეტაპზე. შერჩეული ლიფტის გაბარიტები, პარამეტრები და სპეციფიკაციები სრულად უნდა აკმაყოფილებდეს 407 ქვეთავის მოთხოვნებს);

2. ადგილისა და შენობის ელემენტების შეფასება:

- მისაწვდომი სვლა-გეზის შემადგენლობაში შედის საპროექტო შენობა-ნაგებობების გასასვლელი გზა-კიბეები, რომლებიც აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მეხუთე თავის მოთხოვნებს:
  - კიბეების საფეხურების შემაღლებები თანასწორი სიმაღლისაა და შეადგენს 150 მმ.ს. კიბეების საფეხურების საბიჯელები თანასწორი სიღრმისაა და შეადგენს 300 მმ.ს, რაც აკმაყოფილებს 502.4 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - 504.3 ქვეთავის მოთხოვნის გათვალისწინებით კიბის მარშის საზღვრებში არაა მოწყობილი ღია შუბლები;
  - 302 ქვეთავის შესაბამისად საფეხურის საბიჯელების დახრა არ აღემატება 1:48-ს;
  - კიბეებში სახელურები მოწყობილია 505 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
  - გასასვლელი გზა-კიბეების ყველა კართან განთავსებულია ნიშანი გამოკვეთილი სიმბოლოებითა და ბრაელის შრიფტით წარწერით „გასასვლელი / EXIT”. ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გამოსასვლელ კართან. დასახელებული ნიშანი 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
  - შიგა გასასვლელ გზა-კიბეებზე თითოეული სართულის ბაქანზე, დერეფანში გამავალ კართან განთავსებულია სართულის ამოსაცნობად განკუთვნილი ნიშანი. ნიშანზე მითითებულია სართული ამობურცულოი სიმბოლოებითა და ინფორმაცია დუბლირებულია ბრაელის შრიფტით, რაც აკმაყოფილებს 703.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს. ბრაელის შრიფტი 703.4. ქვეთავის

მოთხოვნებს შეესაბამება. ნიშანი განთავსებულია საკეტის მხარეს. 703.3.11 ქვეთავის შესაბამისად, ნიშანი ისეა განთავსებული, რომ კარის 45^0-ით გაღებისას ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე.

3. წყალსადენები ელემენტებისა და მოწყობილობების შეფასება:

- საპროექტო შენობა-ნაგებობაში მოწყობილი ტუალეტები აკმაყოფილებს 603 ქვეთავის მოთხოვნებს:
  - 603.2.1 ქვეთავის შესაბამისად მისაწვდომ ტუალეტებში უზრუნველყოფილია T ფორმის მოტრიალებისთვის აუცილებელი სივრცე;
  - 603.2.2 ქვეტავის შესაბამისად მისაწვდომ ტუალეტებში კარის გაღებისას ის არ იჭრება მოწყობილობებისთვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში.
- მისაწვდომ ტუალეტებში განთავსებული უნიტაზები აკმაყოფილებს 604 ქვეთავის მოთხოვნებს:
  - უნიტაზი განთავსებულია კედელთან, უნიტაზის სიმეტრიის ღერძიდან კედლამდე დაშორება შეადგენს 450 მმ.-ს, რაც აკმაყოფილებს 604.2 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - 604.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად უნიტაზთან უზრუნველყოფილია თავისუფალი იატაკის სივრცე ფართობით 1400X1500 მმ;
  - უნიტაზის ხელჩასაჭიდი ძელები მოწყობილია 604.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
  - უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მისაწვდომ ტუალეტებში განთავსებული ხელსაბანები აკმაყოფილებს 606 ქვეთავის მოთხოვნებს:
  - 606.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად ხელსაბანებთან უზრუნველყოფილია იატაკის თავისუფალი სივრცეები;
  - ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შეესაბამება 606.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

4. საკომუნიკაციო ელემენტებისა და ფუნქციების შეფასება:

- საპროექტო შენობა-ნაგებობებში გათვალისწინებული მისაწვდომობის ნიშნები, მათი მოწყობა და ადგილმდებარეობა აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მეშვიდე თავის მოთხოვნებს:
  - მისაწვდომ სვლა-გეზსა და გასავლელ საშუალებებში მოწყობილი გასავლელის ნიშანი წარწერით „გასასვლელი / EXIT” აღნიშნული

ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის შრიფტით აკმაყოფილებს 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს;
    - კიბეების ბაქნებზე განთავსებული სართულის ამოსაცნობი ნიშნები აკმაყოფილებს 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს;
    - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი ღია და დახურულ საპარკინგე ერთეულებზე. ნიშანი აკმაყოფილებს 703.6.3 და 703.2 ქვეთავის მოტხოვნებს.
- მისაწვდომ სვლა-გეზზე განთავსებულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები აკმაყოფილებს 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვს. სიმბოლოები არაა მოცებული არატრადიციული, ზედმეტად დეკორატიული, რთულად კითხვადი ფორმით;
    - სიმბოლოების ზომა, სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება აკმაყოფილებს 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს;
    - სიმბოლოების განთავსების სიმაღლე იატაკიდან აკმაყოფილებს 703.2.4 ცხრილს;
    - სიმბოლოების და მათი ფონის ზედაპირები კაშკაშა არაა. სიმბოლოები და ფონი კონტრასტულია ერთმანეთთან მიმართებაში (სიმბოლო მუქი ფერისაა, ხოლო ფონი - ღია), რაც აკმაყოფილებს 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მისაწვდომ სვლა-გეზზე განთავსებულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები აკმაყოფილებს 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - ამობურცული სიმბოლო ამობურცულია ზედაპირიდან 703.3.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
    - ლათინური სიმბოლოები დაწერილია დიდი ასობგერებით, რაც აკმაყოფილებს 703.3.3 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - 703.3.4 ქვეთავის მოთცოვნის შესაბამისად ლათინური სიმბოლოები შესრულებულია „SANS SERIF” შრიფტით. სიმბოლოები არაა გამოსახული დახრილად, ხელნაწერის სახით, ზედმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით;
    - სიმბოლოების სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება აკმაყოფილებს 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების მოთხოვნებს;
    - სიმბოლოების განთავსების სიმაღლე იატაკის დონიდან აკმაყოფილებს 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შრიფტის შემცველი ნიშნების განთავსება აკმაყოფილებს 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - 703.3.12 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად ამობურცული სიმბოლოები გამოირჩევა მისი ფონისგან.

- მისაწვდომ სვლა-გეზზე განთავსებულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილის შრიფტი აკმაყოფილებს 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - 703.4.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად ნიშნებზე გამოყენებულია მეორე ხარისხის ბრაილის შრიფტი;
    - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათის ფორმა, იგი აკმაყოფილებს 703.4.3 ცხრილის მოთხოვნებს;
    - ბრაილი განთავსებულია 703.4.4 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად;
    - ბრაილის განთავსების სიმაღლე იატაკიდან აკმაყოფილებს 703.4.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

- მისაწვდომ სვლა-გეზზე განთავსებულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლოები აკმაყოფილებს 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს:
    - 703.6.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევიან ფონისგან;
    - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს;
    - მისაწვსდომობის ნიშნები და მათი ფონები არაა ამრეკლავი.

5. მისაწვდომი საცხოვრებელი (საძინებელი) ერთეულების შეფასება:

- „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა განსაზღვრულია „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ მიხედვით და თითოეული საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის შეადგენს ერთ ცალს. საპროექტო „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები აკმაყოფილებენ „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მეთერთმეტე თავის მოთხოვნებს.
    - 1103.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი;
    - 1103.3.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის ყველა სივრცეს აკავშირებს მინიმუმ ერთი მისაწვდომი სვლა-გეზი, რომელიც ემთხვევა ძირითადი მიმოსვლის ბილიკს;
    - 1103.3.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლა-გეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებლად აუცილებელი თავისუფალი სივრცე;
    - 1103.3.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად მისაწვდომი სვლა-გეზების ზედაპირების დახრა არ აღემატება 1:20 -ს;
    - მისაწვდომი სვლა-გეზის სავალი ზედაპირები აკმაყოფილებს 403 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის შესასვლელი და ყველა სხვა კარი აკმაყოფილებს 404 ქვეთავის მოთხოვნებს;
    - ზღურბლები მოწყობილია 303 ქვეთავის შესაბამისად;

- სარეცხი მანქანა აკმაყოფილებს 611 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ერთეულებში მოწყობილია ტუალეტი, რომელიც აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს:
- ხელჩასაჭიდი ძელების მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია;
- მისაწვდომი მოწყობილობები ერთი სააბაზანოს ფარგლებშია განთავსებული;
- გაღებისას კარი არ იჭრება მოწყობილობებთან აუცილებელი იატაკის თავისუფალ სივრცეში;
- ხელსაბანები აკმაყოფილებს 606-ე ქვეთავის მოთხოვნებს;
- უნიტაზები აკმაყოფილებს 1103.11.2.4 ქვეთავის მოთხოვნებს;
- აბაზანები აკმაყოფილებს 607-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები:
  - 1104.2 ქვეთავის შესაბამისად „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულებში შესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი;
  - 1104.3.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის ყველა სივრცეს აკავშირებს მინიმუმ ერთი მისაწვდომი სვლა-გეზი, რომელიც ემთხვევა ძირითადი მიმოსვლის ბილიკს;
  - 1103.3.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად მისაწვდომი სვლა-გეზების ზედაპირების დახრა არ აღემატება 1:20 -ს;
  - მისაწვდომი სვლა-გეზის თავისუფალი სიგანე აკმაყოფილებს 403.5 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის შესასვლელი კარი აკმაყოფილებს 404 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის ყველა კარის თავისუფალი სიგანე არანაკლებ 820 მმ.-ია და 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას აკმაყოფილებს;
  - ზღურბლები მოწყობილია 303 ქვეთავის შესაბამისად;
  - სარეცხ მანქანასთან გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცე 1104.10.1 ქვეთავის შესაბამისად;
  - აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - კარი არ იჭრება მოწყობილობებთან აუცილებელი იატაკის თავისუფალ სივრცეში;
  - ხელსაბანები აკმაყოფილებს 1104.11.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - უნიტაზები აკმაყოფილებს 1104.11.3.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს;
  - აბაზანები აკმაყოფილებს 1104.11.3.1.3.1 და 1104.11.3.1.3.2-ე ქვეთავების მოთხოვნებს;
  - სამზარეულოები აკმაყოფილებს 1104.12 ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა

წარმოდგენილი შეფასებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.008.293 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის (E, E` და E`` ბლოკების) არქიტექტურული პროექტი სრულიად შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს - „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“. ასევე, ვადასტურებ, რომ არქიტექტურული დოკუმენტაცია შესრულებულია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის აუცილებელ ყველა საჭირო ინფორმაციას. საპროექტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:

	**მისამართი:** ქ. თბილისი. ვარკეთილი ხომლელის მე-7კ.	**Tel:** +995 599 85 55 22 **Email:** nodari1086@gmail.com

	CURRICULUM VITAE
სახელი	ნოდარი
გვარი	ნიგურიანი
დაბადების თარიღი	*18/10/1986*
განათლება პროფესია	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო, 09.2004 - 08.2008 არქიტექტურის ფაკულტეტი, არქიტექტორი ბაკალავრი
პროფესიული გამოცდილება	-2010-2011წწ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია პოზიცია: სპეციალისტი არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებში -2011-2012წწ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია პოზიცია: სამსახურის უფროსი არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი -2012-2015წწ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია პოზიცია: განყოფილების უფროსი არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ურბანული დაგეგმარების განყოფილების უფროსი
	-2015-2017წწ შპს; „არქ არეა“: პოზიცია: მთავარი არქიტექტორი პროექტები: • ქ. თბილისი. საცხოვრებელი კორპუსი შანდორ პეტეფის ქუჩაზე, ვაზისუბანი. • ქ. თბილისი. საცხოვრებელი კორპუსი კორპუსი 1ბ-ს მიმდებარედ, ვაშლიჯვარი. • ქ. ქუთაისი. თამარ მეფის ქ. 28. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და სასტუმრო.

	-2017-იდან დღემდე **შპს; „დეკოლაინი“:** პოზიცია: არქიტექტორი, შენებლობლობის ზედამხედველი
ენები	*1.* ქართული ——— *მშობლიური* *2.* ინგლისური——— *საშუალო* *3.* რუსული ——— *საშუალო*
კომპიუტერული პროგრამები	ArchiCad (სრულყოფილად); AutoCad (კარგი); 3D max (არა), AdobePhotoshop (საშუალო); Microsoft Oficce (კარგი);



IDENTITY CARD

GEO

საქართველო

სახელი / FIRST NAME
ნოდარი
NODARI
გვარი / LAST NAME
ნიგურიანი
NIGURIANI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
30001006301
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
18.10.1986
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
12.02.2026
ხელმოწერა
SIGNATURE

ბარათის No / CARD No
15IA25753



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
მესტია
MESTIA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
12.02.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2015
სმს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE015IA25753830001006301<<<<
8610186M2602121GE0<<<<<<<<<<<4
[illegible]URIANI<<NODARI<<<<<<<<<<<<<

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობა
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

№1914

22/11/2018წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ნოდარ ნიგურიანს (პ/ნ 30001006301, დაბ. 18.10.1986წ) მასზედ, რომ ის 2010 წლის 1 სექტემბრიდან (ბრძანება N140) 2016 წლის 29 იანვრამდე (ბრძანება N44/1) მუშაობდა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ჯერ არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებში სპეციალისტად და შემდეგ ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურში, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსად.

ცნობა გაიცა საჭიროებისამებრ ადგილზე წარსადგენად.

პატივისცემით,

კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

ინდ: 3200.დ. მესტია
სუტის მოედანი N–1
ვებგვერდი: www.mestia.ge

ტელ: +995 591 05 92 38
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@yahoo.com

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის

სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000504

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2008 წლის 08.27 გადაწყვეტილებით,

ნოდარ ნიგურიანს, დაბადებულს

1986 წლის 10.18, მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია

და არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

გაცემის თარიღი 20 წ.

ქ. თბილისი

სარეგისტრაციო № 000504

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000504

This is to certify that by the decision of 2008.08.27

of the Architecture

faculty

of the **A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART**

Mr./Ms. Nodar Niguriani

born on 1986.10.18 was awarded Bachelor's Academic Degree

with a Major in Architecture

Seal

Dean of the Faculty

Rector

ISSUED ON

City TBILISI

REGISTRATION No. 000504